პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# წითელი მეომარი

ფასი 3 კაპ.

1 ლ და მე 2 ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების
ორგანო
გამოდის ხუთშაბათობით და კვირაობით.
წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ჯორჯიაშვილის (ყოფ. ბარიატინსკის) ქუჩა № 8.
დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები:
ცალკე ხელის მომწერთათვის
1 თვით—35 კ., 3 თვით— 90 კაპ.
6 თვ—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებ-სათვის კოლექტიური ხელის მოწერა:
1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ.
6 თვით— 1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფასი 1 ავ —80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

169 (1164) | კვირა, 7 ნოემბერი 1926 წ. | (1164) 169

## წითელი ოქტომბერი.

1917 წლის 25 ოქტომბერს რუსეთის აჯანყებულ მუშებმა და გლეხებმა კომპარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ ამხ. ლენინის მეთაურობით დაამხვეს მემამულეთა-ბურჟუაზიული წესწყობილება და საძირკველი ჩაუყარეს ახალ სოციალისტურ წყობილებას. მას შემდეგ განვლო დაუნდობელი ბრძოლის და დაუღალავი შრომის 9 წელმა. მიუხედავათ აურაცხელ სიძნელეებისა და დაბრკოლებებისა საბჭოთა კავშირის მშრომელმა ხალხმა არა თუ შეინარჩუნა ოქტომბრის ყველა მონაპოვარი, არამედ მნიშვნელოვანად წაიწია წინ სოციალიზმის აღმშენებლობის გზაზე.

ამავე პერიოდში საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ დაკარგეს თავისი გენიალური და უსაყვარლესი ბელადი ამხ. ლენინი. მათ დაკარგეს აგრეთვე მთელი რიგი თავისი გამოჩენილი ხელმძღვანელებისა. მაგრამ ამ დიდ დანაკლისს იოტის ოდენადაც არ შეურყევია მათი ნებისყოფა, არ შეუფერხებია მათი წინსვლა ოქტომბრის მონაპოვართა განმტკიცების საქმეში. მუშები და გლეხები უფრო მჭიდროთ შემოკრბენ თავისი ღირსეული ბელადის კომუნისტური პარტიის გარშემო, რომლის მეთაურობით მათ გაიმარჯვეს ოქტომბერში და რომლის ხელმძღვანელობის ქვეშ რკინის ხელებით სჭედენ ბრწყინვალე მომავალს.

ყოველთვის, როცა ჩვენ ვდღესასწაულობთ ოქტომბრის გამარჯვების დღეს, ჩვენ ჯამს უკეთებთ ჩატარებულ მუშაობას, ჩვენ ვეკითხებით ჩვენს თავს: რა გავაკეთეთ? რას მივაღწიეთ? წავედით წინ თუ უკან დავიხიეთ? და ყოველთვის ყველა ჩვენი მიღწევებისა და დაშვებულ შეცდომების ფხიზელი მიუდგომელი გასინჯვის შემდეგ, კმაყოფილებით ვხედავთ:

**რომ ყოველწლიურად საბჭოთა კავშირი მტკიცდება პოლიტიკურად, იზრდება ეკონომიურად და შეურყევლად მიდის წინ სოციალიზმისაკენ.**

ცხადია ჩვენი ზრდა, ჩვენი წინსვლა ბადებს ახალ სიძნელეებს და დაბრკოლებებს. ჩვენ ერთ წუთს არ ვივიწყებთ იმ გარემოებას, რომ კაპიტალისტური მსოფლიო რკინის სალტესავით გვარტყია გარს. თითეული ჩვენი მიღწევა, თითეული ჩვენი ნაბიჯი წინ, ძილს უფრთხობს და მოსვენებას არ აძლევს მსოფლიო ბურჟუაზიას. ამიტომ რაც უფრო წინ მივიწევთ, მით უფრო იზრდება მისი სიძულვილი ჩვენს მიმართ, მით უფრო სცდილობს ის ხელი შეგვიშალოს წინსვლაში, რადგან ჩვენი წინსვლა—მსოფლიო ოქტომბერის დაჩქარების უტყუარი ნიშანია.

მაგრამ საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს არ ეშინიათ ამ სიძნელეების, არ ეშინიათ არც მსოფლიო ბურჟუაზიის მუქარისა. მათ ყავთ ღირსეული, რევოლიუციონურ ბრძოლებში გამობრძმედილი, ფოლადი ხელმძღვანელი—ლენინის პარტია. მათ ყავთ ძლევამოსილი წითელი არმია, რომელიც ყოველთვის მზად არის კისერი მოუგრიხოს თავზე ხელაღებულ მტერს. ოქტომბრის რევოლიუციის იდეები ხორცს ისხამენ და სინამდვილეთ ხდებიან. ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს. მსოფლიო ოქტომბერი ახლო მომავლის საქმეა.

გაუმარჯოს წითელ ოქტომბერს!
გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

# წითელი არმია-ოქტომბრის ერთგული დარაჯია!

## წითელ მებრძოლნო კიდევ უფრო შევამჭიდროვოთ ჩვენი ფოლადი რიგები, ერთი ორად გავაძლიეროდ ჩვენი საბრძოლო უნარი! ფხიზლად ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე!

## გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლის თავს!
## გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!



ლენინი ჯავშნოსანზე

## ლენინი ოქტომბერში.

დროებითი მთავრობა კერენსკის მეთაურობით აშკარად სცდილობდა რევოლიუციის ჩახშობას. ცნობილი მრეწველი რიაბუშინსკი აშკარად აშინებდა მუშებს „სიმშილის აჩრდილით“. თანდათან ძნელდებოდა დედაქალაქების მომარაგების საკითხიც. დგებოდა საფრთხე, რომ ბურჟუაზია, რომლის ხელშიაც იყო ძალა-უფლება, ჩააბარებდა გერმანელებს ლენინგრადს (მაშინ პეტროგრადს) და ჩაახშობიებდა რევოლიუციას. დღითიდღე აშკარა ხდებოდა, რომ მოსალოდნელი იყო რაღაც დიდი გარდატეხა. მაგრამ როგორი?

ლენინი მაშინ (1917 წლის ოქტომბერში) სწერდა:

— რუსეთში აუცილებელია რევოლიუციის გარდატეხა... უმაგალითო გაჭირვებაში, რომელშიაც ჩააგდო ხალხი იმპერიალისტურ ომის გაჭიანურებამ და მისმა შედეგებმა, დაიწყო და იზრდება გლეხთა აჯანყება.

რევოლიუციის გარდატეხის მომენტი, მიუხედავად კონტრრევოლიუციურ ძალების სრული მობილიზაციისა, ლენინმა დაინახა **გლეხთა აჯანყების დაწყებაში.**

მართლაც ამ დროს მთელ რიგ გუბერნიებში—ტამბოვის, ვორონეჟის, ტულის, რიაზანის, კალუგისა და სხვა იფეთქა სტიქიურ აჯანყებებმა. გლეხები ძარცვავდენ მემამულეების კარმიდამოს, მიჰქონდათ პური, სწვავდენ სახლებს. კერენსკის მთავრობა ამ აჯანყებების წინაალმდეგ აგზავნიდა სამხედრო ძალებს და აპატიმრებდა გლეხობას.

მაგრამ ლენინმა დაინახა, რომ აქ მუშათა კლასის დამხმარედ გამოდის ახალი ძალები. გლეხობა გადადიოდა რევოლიუციის, ბოლშევიკების მხარეზე. გლეხობის განწყობილება საგრძნობ ბარომეტრს ლენინისთვის ოქტომბრის წინ წარმოადგენდა არმია.

მუშები გულითა და სულით იყვნენ რევოლიუციისკენ,—მომხრე ბურჟუაზიისა და მემამულეების ჩამოგდებისა. გლეხობასთან კავშირში ვერავითარი ძალა ვერ შეაშინებდა ამხედრებულ პროლეტარიატს.

ეს კავშირი ოქტომბრის წინა დღეებში უზრუნველყოფილი იყო. და ყველაზე უფრო 1917 წლის ოქტომბრის დღეებში ლენინს ეშინოდა იმის, რომ არ გაეშვა გადამწყვეტი გამოსვლების მომენტი. ის მაშინ იძულებული იყო დამალულიყო პეტროგრადის ახლოს, ვინაიდან მას ეძებდენ და უნდოდათ დაპატიმრება კერენსკის მთავრობის ბრძანებით. და აი, თავის საიდუმლო სამყოფ ადგილიდან ის, ერთგული პირების საშუალებით, უგზავნის პეტროგრადისა და მოსკოვის ორგანიზაციებსა და მათ ხელმძღვანელებს მოწოდებებს გადამჭრელ მოქმედებისთვის.

**— ბოლშევიკებს უფლება არ აქვთ უცადონ საბჭოების ყრილობას. იმათ მაშინვე უნდა აიღონ ხელში ძალა-უფლება. თუ რომ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება შეუძლებელი იქნება აუჯანყებლად, დაუყონებლივ უნდა იქნას დაწყებული აჯანყება. ლოზუნგი: ძალა-უფლება საბჭოებს, მიწა გლეხებს, ზავი ხალხებს, პური დამშეულთ. ლოდინი—ბოროტებაა რევოლიუციის წინაშე.** (წერილი რ.ს.დ.მ.პ.(ბ) ცეკასა და მოსკოვის კომიტეტში).

ლენინის ამ ლოზუნგების ქვეშ დაიწყო ოქტომბრის ძლევა-მოსილი რევოლიუცია. ბოლშევიკების მიერ გადმოსროლილი ლოზუნგები არ ყოფილა უბრალო დაპირებები. 25 ოქტომბერს (ძველი სტილით) მოხდა გადატრიალება პეტროგრადში, ხოლო უკვე 26,—საბჭოთა მეორე ყრილობაზე მიღებულ იქნა დეკრეტი ზავის შესახებ, რომელიც ლენინის საკუთარი ხელით იყო დაწერილი.

**— მუშათა და გლეხთა მთავრობა,—ნათქვამი იყო ამ დეკრეტში,—წინადადებას აძლევს ყველა მებრძოლ ხალხებსა და მათ მთავრობებს, დაუყონებლივ დაიწყონ მოლაპარაკება სამართლიან დემოკრატიულ ზავის შესახებ... ასეთ ზავად მთავრობა სთვლის... ზავს უანექსიოდ (ე. ი. სხვისი მიწების დაუპყრობლად, სხვა ხალხების ძალით შემოუერთებლად) და უკონტრიბუციოდ.**

26 ოქტომბერს, ღამის 2 საათზე მიღებულ იქნა ლენინის მეორე **დეკრეტიც—მიწის შესახებ.** დეკრეტში ნათქვამი იყო:

**1. ისპობა მემამულეების მიწის საკუთრება გამოუსყიდველად.**

**2. მემამულეთა ქონება, როგორც საუფლისწულო, სამონასტრო, საეკლესიო მიწები მათი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით გადადის თემის მიწკომებისა და სამაზრო გლეხთა დეპუტატთა საბჭოების განკარგულებაში.**

ორი ძირითადი და დიდმნიშვნელოვანი საკითხი გადაჭრილ იქნა ბოლშევიკების მიერ ლენინთან ერთად მუშებისა და გლეხების სასარგებლოდ.

რევოლიუციაში ხელიხელ-ჩაკიდებული შევიდა მუშათა კლასი და გლეხობა და გაიმარჯვეს. ამ კავშირმა გასული ცხრა წლის განმავლობაში საშუალება მოგვცა დაგვემარცხებია შინა და გარეშე მტრები, აღგვედგინა სამეურნეო ცხოვრება დანგრევისა და განადგურების შემდეგ.

ეს კავშირი, ლენინის ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ, ჩვენი გამარჯვების თავდებია მომავალშიაც.

ა.

# ბრძანება

## კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ჯარებისადმი

ქ. თბილისი. №.281 1926 წ. 6 ნოემბერი.

ოქტომბრის რევოლიუციის მე-9 წლის თავზე სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს შეუძლია იამაყოს დიდი მიღწევებით სახალხო მეურნეობის აღორძინების საქმეში, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს პროლეტარულ დიქტატურის სახელმწიფოს ძლიერებას.

ჩვენი მეურნეობის შემდეგი განვითარება და განმტკიცება, მუშებისა და გლეხების მჭიდრო კავშირის საფუძველზე, მოითხოვს ერთგულ და ძლიერ დაცვას წითელ არმიისაგან.

მუშურ-გლეხური ხელისუფლების არსებობა და მშვიდობიან აღმშენებლობის შესაძლებლობა წითელ არმიის მიერ სასტიკი ბრძოლებითაა მოპოვებული; თავისი შეუდრეკელი ძლიერების ძალას ის ღებულობდა მშრომელთა ფართე მასებიდან.

დღეს წითელი არმია ფხიზლად სდგას ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე და იცავს მშრომელთა მშვიდობიან შრომას. თავის ძალას ის ამყარებს თავისი კავშირის განმტკიცებაზე მუშურ-გლეხურ მასებთან.

ულოცავს რა წითელ მეომრებს რევოლიუციის მე-9 წლის თავს, არმიის რევოლიუციური სამხედრო საბჭო დარწმუნებულია, რომ კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის ამხ. ამხ წითელარმიელები და მეთაურთა შემადგენლობა დარჩებიან ფხიზელ დარაჯებად ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე და მტკიცე ნაბიჯით, მჭიდროდ და შეუპოვრად წავლენ წინ წითელი არმიის განმტკიცების გზაზე, აამაღლებენ მის საბრძოლო ძლიერებას, განავითარებენ, გააუმჯობესებენ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის სამხედრო საქმის ყველა მხარეებს.

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რესპუბლიკის წინამორბედს—წითელ ოქტომბერს.

გაუმარჯოს მშრომელთა ბელადს ლენინის საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბ).

რევსამხსაბჭო {ლევანდოვსკი / ოსეპიანი

# ოქტომბერი

იყო მეფობა უხეში ძალის.
წყვდიადს მოეცვა არე-მარე კიდით-კიდემდე.
ერთის მხრივ შრომა, შრომა მძიმე, უსიხარულო და მეორე მხრივ ზეიმი მათი, ვინც სუქდებოდა მშრომელთა ოფლით,
მშრომელთა სისხლით.
ქალაქად მუშა, სოფლად გლეხი მრავალ საუკუნოების გზებზე ეწეოდნენ მძიმე უღელს და პირსისხლიანი „ბატონები“ მათრახით ხელში მიერეკებოდნენ მათ.
ეწეოდნენ მონობის უღელს,
მოეხარათ მის ქვეშ ქედი,
დაეჭიმად ძარღვები,
შუბლიდან ნაკადულივით ჩამომდინარე ოფლი აპოხიერებდა ნიადაგს.
ეწეოდნენ მძიმე უღელს
და თან მღეროდნენ სიმღერას
სევდიანს
და
იმედიანს.
მძიმე უღელ ქვეშ მათ გულებში მრავალ საუკუნოების გზებზე გროვდებოდა სიძულვილი ბატონებისადმი,
იზრდებოდა გრძნობა შურის ძიების,
ღვივდებოდა ნაპერწკალი თავისუფლების,
ივსებოდა ფიალა მოთმინების.
საჭირო იყო ხმა ძლიერი, ხმა ბელადის, წინამძღოლის, რომელიც ჩაუდგებოდა სათავეში მშრომელთა არმიას, არმიას უძლევს, მრავალმილიონიანსა და წაიყვანდა მას გამარჯვებისაკენ.
და გამოჩნდა ბელადი.
ეს იყო ოქტომბრის დიად დღეებში.
გაისმა ხმა ძლიერი,
ხმა ლენინის:
„მშრომელნო, შეიარაღდით.“
და ხმამ ლენინის შესძრა მთელი ქვეყნიერება, იგი ელვის სისწრაფიდ მოედო მთელი ქვეყნის მშრომელთა გულებს.
აღსდგა მაშვრალი იარაღით ხელში და დაიწყო ბრძოლა, ბრძოლა სამკვდრო სასიცოცხლო.
ეს იყო ოქტომბრის დიად დღეებში.
მთელი ქვეყანა უმზერდა ამ უმაგალითო ბრძოლას, ბრძოლას შრომის გასანთავისუფლებლად.
იბრძოდა მუშა,
იბრძოდა თავგამოდებით
და
დიადი ლენინი წითელ დროშით ხელში მიუძღოდა წინ აჯანყებულ მუშათა რაზმებს.
იბრძოდა მუშა და მოიპოვა გამარჯვება.
დამარცხდა მტერი,
განადგურდა მტერი,
აფრიალდა ლაღად დროშა წითელი.
ეს იყო ოქტომბრის დიად დღეებში,
ეს იყო ბრძოლა მოგებული
ლენინის მიერ.

ე. ხუციშვილი.

# წითელი მებრძოლნი-ოქტომბრის რევოლიუციის მე-9 წლის თავის შესახებ

## ოქტომბერი და წითელი ჯარი

ოქტომბრის რევოლუციას მრავალი მტრები ყავდა. მის წინააღმდეგ იბძოდა მემამულეები, თავად-აზნაურობა, ვაჭრები, სპეკულიანტები, მღვდლები, ბერები და ყველა ის „ბრწყინვალე ხალხი“, რომლებიც ნეტარობდენ და ფუფუნებაში ატარებდენ ცხოვრებას მშრომელთა ხარჯზე. ოქტომბრის რევოლუციას ებრძოდა მეფის გენერლები: კოლჩაკი, იუდენიჩი, ვრანგელი და მთელი მსოფლიო კონტრრევოლუცია, მაგრამ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გაიმარჯვა მშრომელმა ხალხმა. რევოლიუციონურმა წითელმა ჯარმა გაანადგურა ჩვენი მტრების რიგები, ბოლო მოუღო კონტრრევოლუციას. წითელი ჯარი მაშინ წითელი გვარდიის სახელით მოქმედებდა, იბრძოდა თავდავიწყებით, მუდამ წინ მიდიოდა და თავისი რევოლუციონური ხიშტით ლახვარს სცემდა არა მარტო შინაურ, არამედ მსოფლიო კონტრევოლუციასაც. წითელი ჯარი აღჭურვილი იყო რევოლუციონური ენტუზიაზმით და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების სურვილით და თავგამოდებით აკეთებდა სოციალიზმის საქმეს. კონტრევოლუციასთან ბრძოლა—სამოქალაქო ომმა დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის მეურნეობას, მაგრამ მტრების დამარცხების შემდეგ, მრეწველობისა და მეურნეობის აღდგენაში წითელი ჯარი მხურვალე მონაწილეობას იღებდა და ავერდით უდგა კომუნისტურ პარტიას. ამნაირად წითელი ჯარი არა მარტო სამხედრო ფრონტზე არამედ კულტურულ-პოლიტიკურ - საზოგადოებრივ ფრონტზე იბრძოდა და იბრძვის.

ამჟამად წითელ ჯარს უხდება მშვიდობიან პირობებში მუშაობა; იგი დღეს არავის არ იბრძვის, მაგრამ ყოველთვის მზად არის.

საბჭოთა ხელისუფლებას არ უნდა ბძოლა და სისხლის ღვრა. მისი მიზანია დაამყაროს სოციალიზმი-კომუნიზმი. მაგრამ თუ ჩვენი მოსისხლე მტრები—ბურჟუაზია, მენშევიკები და სხვა კონტრევოლუციონერები არ მოგვასვენებენ და მოინდომებენ საბჭოთა ხელისუფლების იარაღით განადგურებას, მაშინ მსოფლიო კონტრევოლუციის წინაამდეგ ბძოლაში გამობრძმედილი უძლეველი და სახელოვანი წითელი ჯარი, თავისი წითელი ხიშტით ღირსეულ პასუხს გასცემს მათ. გაუმარჯოს წითელ არმიას, რომელზედაც უნდა დაიმსხვრეს მსოფლიო კონტრევოლუცია!

გაუმარჯოს მომავალ წითელ ოქტომბერს.

არტემი.

## ცხრა წლის თავი მეტ საქმეს გვავალებს.

დღეს უკვე ცხრა წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ოქტომბრის დიადმა რევოლიუციამ პირველად გაშალა ფრთები. ცხრა წლის განმავლობაში შემოქმედებითმა მუშაობამ, მშრომელთა უანგარო თავდადებამ და ბრძოლამ ურწმუნო თომებსაც კი ნათლად დაუმტკიცა, თუ რა დიდ ძალას ატარებს მშრომელთა სახელმწიფო, თუ როგორი წარმატებით შეუძლია მას სოციალიზმის შენება.

წითელი არმია ამ მშენებლობის ერთი აქტიური წევრთაგანია. წითელი არმია ფხიზელ დარაჯად უდგა ამ ცხრა წლის განმავლობაში მშრომელთა დაკოჟრებული ხელებით გაკეთებულ საქმეს და მათ ნაამაგარს.

ცხრა წლის თავზე ჩვენი წითელი არმიელები, კიდევ უფრო ვგრძნობთ ჩვენ უწმინდეს მოვალეობას მშრომელთა მონაპოვარი დაცვის საქმეში. როგორც ყოველთვის, ენერგიულად დავიცავთ ქვეყანაზე პირველ მშრომელთა სახელმწიფოს კაპიტალისტური გარემოცვისაგან. ჩვენი ფიცი და თავდადება კიდევ უფრო აღტყინებულია დღეს. იდღეგრძელოს მშრომელთა ქვეყანამ. გაუმარჯოს მის ბელადს—ოქტომბრის რევოლიუციის გმირს—კომუნისტურ პარტიას

წ. არმ. ვ. ნ ო ზ ა ძ ე.



კრემლის ალებ,

## ოქტომბერი მსოფლიო შრომის განთავისუფლების წინამორბედია.

წითელი ოქტომბერი, ეს ის დღეა, რომელმაც დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე მოსპო ბურჟუაზიული წყობილება და მის ნაცვლად სახელმწიფოებრივი მართველობის საჭე ხელში გადასცა მუშებსა და გლეხებს.

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ წამოსკუპებულმა დროებითმა მთავრობამ ვერ შესძლო ხალხის დაკმაყოფილება. განთავისუფლებული მშრომელები მეფის რეჟიმისაგან, მოითხოვდენ სრულ თავისუფლებას. ეს მისცა მათ დიდმა ოქტომბერმა. საჭირო შეიქმნა რევოლიუციაში, რევოლიუცია და აქეთკენ გაბედულად გადადგა ნაბიჯი კომპარტიამ მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი ბელადის—ლენინის ხელმძღვანელობით.

მას შემდეგ მრავალი საბედის წერო მომენტები იქნა გადალახული და დიდი ოქტომბერი სწრაფი ნაბიჯებით მიდიოდა წინ გამარჯვებისაკენ. მეცხრე წლის თავი კი უდიდესი მიღწევათ არის აღნიშნული ამ დიადი პროლეტარული გამარჯვებისა. წითელი არმია დიდი ზეიმით დღესასწაულობს ამ დღეს და ერთხელ კიდევ სდებს ფიცს, რომ ის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს მსოფლიო მუშათა კლასის განთავისუფლების ამ წინამორბედის მონაპოვარს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის შემოქმედებითი მუშაობას, გაუმარჯოს ამ მუშაობის ხელმძღვანელს—კომუნისტურ პარტიას.

წ. არმ. რ. რ ო ყ უ ა.



წითელი გვარდია ოქტომბრის დღეებში

# სოციალიზმის შენობა იზრდება

## (ჩვენი მეურნეობის ჯამი)

### გადავდივართ ომამდე არსებულ დონეს

ვინ იფიქრებდა ამ ხუთიოდე წლის წინად, რომ ოქტომბრის რევოლიუციის მეცხრე წლის დასასრულისთვის ჩვენ აღვადგენდით ჩვენს მეურნეობას ომამდე არსებულ დონემდი. არ გვეგონა, რომ ამის მიღწევას ჩვენ 1930 წლამდის შევსძლებდით.

მაგრამ აი 1926 წელი გადის და ჩვენ უკვე ვშორდებით მაღლა ომამდე არსებულ დონეს.

რა მიღწევები გვაქვს სამეურნეო ფრონტზე?

ვალაპარაკოდ ციფრები. წასულ წელს ჩვენმა მრეწველობამ დაამუშავა 6 მილიარდ 923 მილიონი მანეთის ნაწარმოები, ე. ი. 1913 წელზე ცოტა ნაკლები. იმ საწარმოებში, რომლებიც ამ ჟამად უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ხელშია, 1913 წელში ითვლებოდა 2 მილიონი 552 ათასი მუშა, წელს კი—2 მილ. 421 ათასი. უკვე ამ წელში მუშათა რიცხვი და ნაწარმოების დამზადება ომამდე არსებულს ასცილდება.

ეს საერთოდ. თუ რომ მრეწველობის ცალკე დარგებს ავიღებთ, მაგალითად ქიმიურს, საავიაციოსა და სხვ., დავინახავთ, რომ ამ დარგებში ჩვენ კარგი ხანია დავსტოვეთ ომამდე არსებული დონე.

### სოციალიზმის შენობა იზრდება

მაგრამ თავიდათავი ჩვენი მეურნეობის საერთო ზრდა კი არაა, არამედ ის, თუ რა მიმართულებით იზრდება ის—სოციალიზმისაკენ თუ კაპიტალიზმისაკენ. განსაკუთრებით საყურადღებოა ეს საკითხი იმიტომ, რომ ოპოზიციის უკანასკნელი გამოსვლები სკპ (ბ)-ს შიგნით უმთავრესად ტრიალებდენ ჩვენი აღმშენებლობის სიძნელის საკითხების გარშემო, ხოლო კერძოდ კი იმის გარშემო, რომ კერძო კაპიტალის ზრდა წინ უსწრებს ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ უბანს.

ჩვენს მეურნეობაში რომ ბევრი სიძნელეა,—როგორც საერთაშორისო, ისე შინაგანი,—ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ იმიტომ გვქვია ჩვენ ლენინის ბოლშევიკური პარტია, რომ არ გვეშინოდეს ამ სიძნელეების და ვსძლიოთ ისინი. ციფრები გვიჩვენებს, რომ სიძნელეებს ჩვენ ვამარცხებთ და ჩვენი სოციალისტური შენობა, თუმცა ნელა, მაგრამ მტკიცედ იზრდება.

სახელმწიფო და კოოპერატიულ სამრეწველომ 1925—26 წელში მოგვცა მთელი პროდუქციის 81 პროცენტამდე. კერძო მრეწველობამ, საშუალომ, მოგვცა მხოლოდ პროდუქციის 4 პროცენტამდი; დანარჩენი მოდის წვრილ კერძო მრეწველობაზე, რომელსაც ეკუთვნის ისეთი საწარმონი, რომლებშიაც მუშაობს 15—30 კაცი.

ავიღოთ ვაჭრობა. უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში საქონლის საერთო ტრიალი ორჯერ მეტად გაიზარდა; სახელმწიფოსა და კოოპერაციაზე საბითუმო საქონლის ტრიალი მოდის 90 პროც. და წვრილმანი—61 პროცენტი; ხოლო კერძო კაპიტალზე—საბითუმო—10 პროცენტი და წვრილმანი—39 პროცენტი.

ამასთან უნდა აღვნიშნოდ, რომ კერძო კაპიტალის წილი მცირდება—კოოპერაციისა და სახელმწიფოს წილის გადიდების ხარჯზე.

### წინ წავათ

ჩვენმა მეურნეობამ დაასრულა აღდგენის პერიოდი, და როგორც ამხ. რიკოვმა მე-15 პარტკონფერენციაზე სთქვა, ის შედის ახალი შენების პერიოდში, ახალი, უფრო მაღალი ტეხნიკის საფუძველზე. მაშასადამე, ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წელში ჩვენ მჭიდროდ უახლოვდებით ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, ფართე სოციალისტური აღმშენებლობის ამოცანას.

ჩვენი მეურნეობის შემდეგი განვითარების საკითხს ელობება საკითხი იმის შესახებ, თუ საიდან ავიღოთ საშუალებანი მრეწველობის შენებისათვის, ვინაიდან აქ დიდძალი სახსარია საჭირო. ჯერ ჯერობით უცხოეთში სესხის აღების იმედი არაა. სახსარი ისევ შიგნით უნდა იქნას გამოძებნილი.

ოპოზიცია გვირჩევდა, რომ მრეწველობის სახსართა გასაძლიერებლად აგვეწია ფასები მრეწველობის საგნებზე და გაგვედიდებია აგრეთვე გადასახადი გლეხობაზე. მაგრამ პარტიამ ეს წინადადება არ მიიღო, ვინაიდან სინამდვილეში ეს კი არ გააძლიერებდა მსხვილ მრეწველობას, პირიქით, დაასუსტებდა მას. რომ ავსწიოთ საქონლის ფასები და იმავ დროს გლეხობას გადასახადები გაუდიდოთ, ვინღა იყიდის ჩვენი მრეწველობის საგნებს? სოფელი—ამ საქონლის მთავარი გამსაღებელი, გარდა ბობოლებისა, მოკლებული იქნება საქონლის ყიდვის საშუალებას. მაშასადამე, დაირღვევა მუშათა კლასის კავშირი მშრომელ გლეხობასთან, რაც სერიოზული საფრთხეა პროლეტარიატის დიქტატურისთვის, ხოლო ჩვენი მრეწველობა უბაზროდ ძლიერ დასუსტდება.

სახსარი მრეწველობის გასაძლიერებლად ჩვენ შიგნით უნდა გამოვნახოთ, მაგრამ იმ რეცეპტით კი არა, როგორც ოპოზიცია ურჩევს პარტიას. არის სამი წყარო, საიდანაც ჩვენ ამ სახსარს მივიღებთ: 1) სამრეწველო შემოსავალი, ბ) მეურნეობის სხვა დარგების (ვაჭრობა, სასოფლო მეურნეობა) შემოსავალი გ) მოსახლეობის დაზოგვის გამოყენება შემნახველ სალაროების საშუალებით თვით მრეწველობაში — მომჭირნეობის სასტიკი რეჟიმი და ზედმეტი ხარჯების საგრძნობლად შეკვეცა.

ამ წელში ჩვენი მრეწველობა მიიღებს კაპიტალურ ხარჯებისთვის 1 მილიარდ 50 მილიონ მანეთს (ელექტროფიკაციასთან ერთად). ეს განსაზღვრული ციფრია ამ წლისთვის. ჩვენი მრეწველობის ზრდა 1926—27 წელში გათვალისწინებულია 17—18 პროცენტით. წასულ წელთან შედარებით ეს თითქმის ორჯერ ნაკლებია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წასული წელი—ეს იყო აღდგენის წელი, ხოლო დღეს კი ჩვენ გადავედით მრეწველობის შემდეგ გაფართოებისკენ. ასეთ პირობებში მრეწველობის ზრდა 18 პროცენტით—ეს დიდი მიღწევაა, რომელიც მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მიღწევებსაც კი აღემატება 5-6-ჯერ.

### ელექტროფიკაცია.

ლენინმა სთქვა: „კომუნიზმი—ეს არის საბჭოთა ხელისუფლებას მიუმატოთ ელექტროფიკაცია.

# სკპ(ბ) მე-15 კონფერენცია

## სკპ(ბ)-ს შინაპარტიულ მდგომარეობისა და ოპოზიციის შესახებ.

### ამხ. სტალინის მოხსენებიდან.

**ოპოზიციური ბლოკის ჩამოყალიბება.**

ჯერ კიდევ მე-14 ყრილობაზე ამხ. ზინოვიევმა მისცა გაერთიანების ნიშანი ოპოზიციურ მიმართულებებს.

პირველი სერიოზული ნაბიჯი ბლოკის ჩამოყალიბებისკენ გადადგმულ იქნა ოპოზიციის მიერ ცეკას აპრილის პლენუმზე. სრული შეთანხმება ახალ ოპოზიციასა და ტროცკისტებს შორის მაშინ კიდევ არ ყოფილა, მაგრამ ბლოკი არსებითად, უეჭველია, უკვე მზად იყო.

**მეორე საფეხური.**

მეორე საფეხური,—ეს იყო ცეკას ივლისის პლენუმი. ამ პლენუმზე ჩვენ გვყავს უკვე ფორმალურად ჩამოყალიბებული ბლოკი. აქ ზინოვიევი აშკარად გამოდიოდა იმის მომხრედ, რის წინააღმდეგაც ის მიდიოდა წინ.

**აშკარა გამოსვლები.**

მესამე საფეხური ბლოკის განვითარებისა—ეს არის აშკარა გამოსვლები სექტემბრის ბოლოს მოსკოვსა და ლენინგრადში. წინასწარ ოპოზიციის მეთაურები გამოვიდნენ უჯრედებში, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ. ამ დროიდან ოპოზიციამ შეაბრუნა კეხი, იბრუნა პირი მშვიდობიანობისკენ პარტიაში. გაისმა მათი სიტყვები: „დროა შევწყვიტოთ შინაპარტიული უთანხმოება“ და მოვიგვაროთ „შეთანხმებული მუშაობა“, ცეკამ სიამოვნებით მიიღო ოპოზიციის წინადადება, თუმცაღა მან იცოდა, რომ ეს წინადადება არ იყო გულწრფელი.

**ოპოზიციის დამორჩილება**

მე-4 საფეხური—ეს არის ის პერიოდი, როცა ოპოზიცია გამოვიდა განცხადებით ა. წ. 16 ოქტომბერს. ეს განცხადება ლაპარაკობს ოპოზიციის დამარცხებაზე.

ლენინი ყოველთვის ამბობდა, რომ სწორი პოლიტიკა—ეს არის პრინციპიალური პოლიტიკა. ოპოზიციამ კი გადასწყვიტა პირიქით, რომ სწორი პოლიტიკა—არის უპრინციპო პოლიტიკა.

ამიტომაც ოპოზიციის ბლოკი ვერ იარსებებს დიდხანს, ის აუცილებლად გაიხრწნება და დაიშლება.

ასეთია ოპოზაციური ბლოკის განვითარების საფეხურები.

**რღვევის მდგომარეობა.**

რით ხასიათდება ამ ჟამად ოპოზიციური ბლოკის მდგომარეობა? ის თანდათან ირღვევა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ბლოკი უპრინციპო შემთანხმებლური,



ამხ. სტალინი.

ჩვენი პარტიის რიგებში დიდხანს ვერ იარსებებს.

ჩვენ გავიგონეთ უკვე, რომ მედვედევი და შლიაპნიკოვი უარყოფენ ცოდვებს და შორდებიან ბლოკს.

**საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა ოპოზიციის წინააღმდეგ.**

როგორია ოპოზიციის მომავალი გეგმა? რას ფიქრობენ ისინი? მე ვფიქრობ, რომ ისინი იმედს ამყარებენ ქვეყანაში და პარტიაში მდგომარეობა გაუარესდებაო. ამ ჟამად ისინი ჰკვეცავენ ფრაქციულ მუშაობას, ვინაიდან მათთვის ეხლა „ცუდი“ დროა. მაგრამ თუ ისინი არ უარყოფენ თავიანთ ძირითად შეხედულებებს, აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ისინი მოელოდებიან „უკეთეს დროს“, როცა მათთვის შესაძლებელი იქნება კვლავ გამოვიდნენ პარტიის წინააღმდეგ.

ეს უდავოა.

ამას წინად მუშა ანდრეევმა, რომელიც მუშაობდა ოპოზიციურ ბლოკში და გადმოვიდა პარტიის მხარეზე, განაცხადა: მან დასტოვა ოპოზიციური ბლოკი იმიტომ, რომ გაიგონა ოპოზიციაში ორი რამ: პირველი ის, რომ ოპოზიციას წინ გადაელობა მუშათა კლასის „რეაქციონური“ განწყობილება, მეორე—რომ ეკონომიური მდგომარეობა არც ისე ცუდი აღმოჩნდა, როგორც ისინი ფიქრობდენ.

ამხ. ანდრეევის განცხადებაც სრულიად ნათელჰყოფს იმას, რასაც ოპოზიცია ფიქრობს.

მაგრამ რაკი ისინი „უკეთეს დროს“ ელოდებიან, პარტიამ გულხელი არ უნდა დაიკრიბოს. საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა, სანამ ისინი საბოლოოდ არ აიღებენ ხელს თავის შეხედულებებზე და არ უარყოფენ შეცდომებს.

**შესაძლებელია თუ არა სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში?**

ძირითადი საკითხი, რომელიც იწვევს უთანხმოებას, ეს არის საკითხი: შესაძლებელია თუ არა სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში? ჩვენს წინაშე სდგას სამი საკითხი: 1. შესაძლებელია თუ არა სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, როცა ჩვენი ქვეყანა მხოლოდ ერთია, რომელიც წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანას და როცა მსოფლიო რევოლიუცია იგვიანებს; 2. თუ ეს გამარჯვება შესაძლებელია, შეიძლება თუ არა ვუწოდოთ მას სრული, საბოლოო გამარჯვება? 3. თუ ასეთ გამარჯვებას არ შეიძლება უწოდოთ საბოლოო, რა პირობებია საჭირო იმისთვის, რათა ის გახდეს საბოლოო?

**სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში შესაძლებელია**

ლენინი ერთ წერილში სწერდა „შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება პირველად რამოდენიმე ან და ერთ ქვეყანაშიც. რომელიმე ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი მოაწყობს სოციალისტურ წარმოებას და წინ აღუდგება დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყანას, მიიმხრობს სხვა ქვეყნის ჩაგრულ კლასებს, მოაწყობს აჯანყებებს კაპიტალისტების წინააღმდეგ, აუცილებელ დროს გამოვა კიდეც სამხედრო ძალით მყვლეფელთა კლასის წინააღმდეგ, ვინაიდან შეუძლებელია ერების თავისუფალი გაერთიანება სოციალიზმში სოციალისტურ რესპუბლიკების ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის გარეშე დანარჩენ სახელმწიფოებთან“.

ასე სწერდა ლენინი 1919 წელში. მაგრამ რაა ეს კაპიტალიზმის არა თანაბრად განვითარების კანონი, რომლის მოქმედება იმპერიალიზმის პირობებში შესაძლებელს ხდის სოციალიზმის გამარჯვებას ერთ ქვეყანაში? როცა ამ კანონის შესახებ ლაპარაკობდა, ლენინი გამოდიოდა იქიდან, რომ ძველი კაპიტალიზმი უკვე გაიზარდა იმპერიალიზმად, რომ მსოფლიო მეურნეობა ვითარდება მთავარ იმპერიალისტურ ჯგუფების ბრძოლის პირობებში ტერიტორიის, ბაზრების, ნედლეულობის და სხვ. დასაპყრობად, რომ მსოფლიო დაყოფა იმპერიალისტურ ჯგუფების გავლენის სფეროებად უკვე დამთავრებულია, რომ კაპიტალისტურ ქვეყნების განვითარება მიდის არა თანაბრად, არამედ ნახტომებით, ქვევითდება ერთი, ადრე დაწინაურებული ქვეყანა და წინ გამოდის მეორე.

ჩვენ ვიცით, რომ დიდი ხანი არაა, რაც ინგლისი სხვა იმპერიალისტურ ქვეყნებზე წინ მიდიოდა.

ვიცით აგრეთვე, რომ შემდეგ გერმანიამ გაუსწრო მას წინ, სადაც ის მოითხოვდა თავისთვის ადგილს „მზის ქვეშ“ სხვა სახელმწიფოების და, პირველ ყოვლისა ინგლისის ხარჯზე. ვიცით, რომ 1914—18 წ. წ. იმპერიალისტური ომი წამოიჭრა სწორედ ამ გარემოებასთან დაკავშირებით. ეხლა, იმპერიალისტური ომის შემდეგ ამერიკა გაქანდა წინ, და დასტოვა უკან როგორც ინგლისი, ისე ევროპის სხვა სახელმწიფოებიც.

ის გარემოება, რომ იმპერიალისტური ფრონტი გარღვეულ იქნა რუსეთში,—ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ კაპიტალიზმის განვითარების დღევანდელ პირობებში იმპერიალიზმის ფრონტის ჯაჭვი გაირღვევა არა უსათუოდ იმ ქვეყანაში, სადაც მრეწველობა ყველაზე მეტად განვითარებული, არამედ იქ, სადაც პროლეტარიატს ჰყავს სერიოზული მოკავშირე, მაგ. გლეხობა, როგორც ეს რუსეთშია. შესაძლებელია, რომ მომავალში იმპერიალისტური ფრონტის ჯაჭვი გაწყდეს ისეთ ქვეყანაში, როგორც, ვსთქვათ, ინდოეთია, სადაც პროლეტარიატს ჰყავს სერიოზული მოკავშირე—ძლიერი რევოლიუციონური გამანთავისუფლებელი მოძრაობა.

# ამხ. ს. ორჯონიკიძის დანიშვნა

**საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა დანიშნოს ამხ. სერგო კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ.**

**ამხ. კუიბიშევი განთავისუფლებულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს თანამდებობიდან და დატოვებულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს წევრად.**

**საბჭოთა კავშირის ცაკმა დაადგინა დანიშნოს ამხ. ორჯონიკიძე საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრათ და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ.**

**ამხ. კუიბიშევი განთავისუფლებულია საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს თანამდებობიდან.**

# ამხ. ს. ორჯონიკიძის ბიოგრაფია

**საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტისა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმმა დაადგინა დანიშნულ იქნას ამხ. სერგო**



**ორჯონიკიძე ცენტრალურ საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ და სსრკ-ს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად.**

**მთელი დარბაზის მხურვალე ტაშის ქვეშ კონფერენციამ ერთხმად მიიღო პლენუმის დადგენილება.**

ამხ. სერგო ორჯონიკიძე—მუშათა და გლეხთა ინსპექციის ახალი სახალხო კომისარი და სკპ (ბ)-ს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე, დაიბადა 1886 წ. შორაპნის მაზრაში.

დაწყებითი სწავლა მიიღო ხარაგოულის ორკლასიან სასწავლებელში, შემდეგ დაასრულა საფერშლო სკოლა 1905 წელს.

სკოლის დასრულების შემდეგ ის მუშაობდა დასავლეთ საქართველოში პროპაგანდისტ-აგიტატორად. 1905 წელში ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობს პარტიულ და რევოლიუციურ მოშაობაში.

1903 წელში ის შედის რ.ს.დ.მ. პარტიაში და პარტიის სახელის გადარქმევამდი ის მუშაობს ბოლშევიკების ფრაქციაში. 1905 წ. ოქტომბერში ის დააპატიმრეს რამოდენიმე თვით გუდაუთის მახლობლად იარაღების გამოტანის გამო.

ციხიდან გაათავისუფლეს თავდებობით, რის შემდეგ მოკლე დროით გაემგზავრა გერმანიაში. ამის შემდეგ ის ბრუნდება ბაქოში და აწარმოებს პარტიულ მუშაობას.

1907 წლის პირველ მაისს ის დაპატიმრებულ იქნა სხვისი გვარით. გათავისუფლების შემდეგ ის განაგრძობს მუშაობას იქვე, სადაც იმ დროს მუშაობდენ სტალინი, შაუმიანი, ჯაფარიძე და სხ. იმავ წლის ოქტომბერში ის დააპატიმრეს კვლავ 1905 წლის საქმეზე და მიუსაჯეს 1 ნახ. წლის ციხე. 1909 წელში გადაასახლეს ენისეის გუბერნიაში. აქედან მალე ბრუნდება ბაქოში და განაგრძობს მუშაობას. შემდეგ ამხ. ორჯონიკიძე მონაწილეობს სპარსეთის რევოლიუციაში. 1910 წელში ის მიდის საფრანგეთში. პარიზში ის მუშაობს პარიზის ბოლშევიკურ-ლენინელთა ჯგუფში.

შემდეგ პარტიის დავალებით ბრუნდება ამიერ-კავკასიაში.

1912 წელში ამხ. ორჯონიკიძეს აპატიმრებენ პეტროგრადში და გზავნიან შლისსელბურგის კატორღაში 3 წლით. 1915 წელს ასახლებენ ციმბირში, სადაც იმყოფება 1916 წლამდი. თებერვლის რევოლიუციამდი ამხ. ორჯონიკიძე იაკუტსკში მუშაობს. თებ. რევოლიუციის შემდეგ ის მუშაობს აქ. რევოლიუციური ხელისუფლების ორგანიზაციაში. ივნისში მიდის პეტროგრადში. ლენინის წინადადებით ის შეყვანილ იქნა პეტროგრადის კომიტეტში და აღმასრ. კომისიაში.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ იმყოფება ფრონტებზე, შემდეგ არალეგალურად მოდის საქართველოში, ბაქოში და ბრუნდება ისევ მოსკოვში.

ამის შემდეგ ამხ. ორჯონიკიძე ინიშნება მე-12 არმიის რევსამსაბჭოს წევრად. შემდეგ—კავკ.ფრონტის რევსამსაბჭოს წევრად და კავკასიის რევკომის თავმჯდომარედ.

ამხ. სერგო ერთ-ერთი აქტიურ მონაწილეთაგანია სომხეთსა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში.

მე-10 ყრილობიდან ის სკპ (ბ)-ს ცეკას წევრია.

პარტია არა სიტყვით, არამედ საქმით ატარებს ცხოვრებაში ლენინის ლოზუნგებს საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციის შესახებ.

ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში გამომუშავებულ და მიღებულ იყო გეგმა, რომ საბჭოთა კავშირში მოწყობილიყო 30 ახალი ელექტრო-სადგური, მილიონ ნახევარი კილოუატის სიძლიერისა, 10—15 წლის განმავლობაში. დღემდის ამ გეგმის ასრულება ნორმალურად მიდის. მალე ამუშავდება ლენინგრადის ახლოს ვოლხოვის ჰიდრო-სადგური, ხოლო აქ, საქართველოში ზაჰესი. უკვე დაწყებულია დნეპრზე უდიდესი ელექტრო-სადგურის აგება; ლენინგრადში მუშავდება ახალი სადგურის—„სვირსტროის“ გეგმა. კუიბიშევმა თავის მოხსენებაში სამეურნეო მდგომარეობის შესახებ სთქვა, რომ თუ ელექტრო-აღმშენებლობა მომავალშიაც ასეთი ნაბიჯით წავიდა, 1932 წლისთვის ასრულებულ იქნება ელექტრო-აღმშენებლობის მთელი გეგმა. ეს იქნება ჩვენი დიდი მიღწევა მეურნეობაში.

**გზა ნათელია.**

ეხლახან დასრულებულმა მე-15 პარტკონფერენციამ დაწვრილებით განიხილა საკითხი ჩვენი სამეურნეო მდგომარეობის შესახებ და ნათელი გადაწყვეტილება გამოიტანა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვაშენოთ და ვავითაროთ ჩვენი სოციალისტური აღშენებლობა უახლოეს დროში.

კონფერენციის გადაწყვეტილება—ეს ლენინის სწორი ყიბლანია ჩვენს აღმშენებლობაში.

წარსული წელი მეტად ძნელი იყო სამეურნეო მშენებლობის მხრივ, ვინაიდან ჩვენ ცოტათი მოვტყუვდით ანგარიშში საგარეო ვაჭრობის დარგში. მიუხედავად ამისა სამეურნეო ფრონტზე ჩვენ მთელ რიგ სერიოზულ წარმატებებს მივაღწიეთ.

ამ წელში ჩვენ უკეთესი წარმატებებით შევდივართ პურის დამზადების დარგში; მაშასადამე უნდა იმედი გვქონდეს მეტი სერიოზული მიღწევებისა ჩვენი მთელი მეურნეობის აღმშენებლობაში. ჩვენი გზა ნათელია. ვერავითარი სიძნელენი ჩვენ ვერ შეგვაშინებს. ერთგულნი ლენინის ანდერძებისა, ჩვენ მედგრად მივდივართ წინ ჩვენი ძირითადი მიზნის—სოციალიზმისაკენ.

**პ. ანჩარსკი.**

# მაუდის ქარხნის საძირკვლის ჩაყრა

დღეს დიდუბეში საფუძველს ჩაუყრიან პირველ მაუდის საქსოვ ქარხანას საქართველოში. ქარხნის ასაგებათ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან დაარსებული იყო ცალკე კომიტეტი.

კომიტეტი აწარმოებდა საჭირო სამზადისს ქარხნის აგების დასაწყებათ. ქარხანაში დამზადდება: საუკეთესო ხარისხის შევიოტი, კოვერკოტი, ტრიკო და სხვა ქსოვილები. სულ წლიურათ ქარხანა გამოუშვებს ერთ მილიონ ორასი ათას მეტრო ქსოვილებს. შევიოტებისა და კოვერკოტების დასამზადებლათ განზრახულია მოხდეს ჩვენებური ჯიშების მატყლის შემოწმება (ლაბორატორიული ანალიზი). შემოწმებას მოახდენს ს. მ. უ. ს. სატეხნიკო-სამრეწველო ლაბორატორია, რომელიც მუშაობას დაიწყებს დეკემბრიდან.

ქარხანა მუშაობას დაიწყებს წელიწადნახევრის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში ააშენებენ ქარხნისათვის საჭირო შენობებს და დადგამენ და მოაწყობენ უცხოეთიდან გამოწერილ, ახალ გაუმჯობესებულ საქსოვ მანქანებს.

ქარხნის საფუძვლის საზეიმო ჩაყრაზე სააღმშენებლო კომიტეტის მიერ მოწვეული არიან მთავრობის, პროფკავშირების, გაზეთების და სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ქარხნის შენობის საფუძველს დატნეული ექნება სპილენძის დაფა, რომელზედაც იქნება შემდეგი წარწერა: „ქალაქ თბილისი 1926 წელი ნოემბრის 7-ს, ოქტომბრის რევოლიუციის მე-9 წლის თავზე, საბჭოთა საქართველოს მუშების და გლეხების სურვილის თანახმად, აქ ჩაეყარა საძირკველი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მაუდის ფაბრიკას, რომელმაც წლიურად უნდა გადაამუშაოს ერთ მილიონ კილოგრამამდე მატყლი, ე. ი. ერთი მილიონი და ორასი ათასი მეტრი სხვა და სხვა ქსოვილი“.



ბრძოლა ქუჩაში

# წითელი ჯარი ახალი ცვლის მოლოდინში

## სამზადისი ახალი ცვლის მისაღებად

1-ლი არტლეგიონი

ლეგიონი კარგა ხანია ემზადება ახალწვეულების შესახვედრად, რომლებმაც უნდა შეავსონ 1902 წელში დაბადებულ შვებულებაში წასულთა რიგები.

მოვაწყვეთ ლენინის კუთხეები პლაკატებით, შევიძინეთ საჭირო ლიტერატურა, გვაქვს სამხედრო კუთხეები, კლუბი ხელახლად შეკეთებული და მოწყობილია ახალი ცვლის მისაღებად. ბიბლიოთეკა აწარმოებს წიგნების გადარჩევას. ცალკე ჯგუფებად აწყობენ ისეთ წიგნებს, რომლებიც აუცილებელი იქნება ახალწვეულებისათვის პირველ ხანებში. ამასთანავე ერთად სამკითხველო ლამაზად ეწყობა გარეგნულადაც.

სამხედრო კუთხეში მოთავსებულია აგრეთვე ლეგიონის მიერ აღებული ჯილდოები და სხვა და სხვა შეჯიბრების დროს.

ახალწვეულებს დაწვრილებით გავაცნობთ მოსვლისთანავე ნაწილის ისტორიას და მის მიღწევებს. დავავალებთ მათ, რომ წარმატებით განაგრძონ ლეგიონის გზა და კიდევ უფრო ასწიონ მისი ღირსება და სახელი მაღლა.

ვ. გორგაძე.

## ჩვენი ნაწილის ცხოვრება

(ქ. ც. ლეგიონი)

**სამხედრო საქმე.**

ბანაკიდან დაბრუნების შემდეგ ძველი წითელ არმიელები უვადო შვებულებაში წავიდენ. დარჩა 1903 წლიანები, რომელთა მეცადინეობაც შეწყდა ბანაკობის შემდეგ, მხოლოდ გასახსენებლად ხანდახან გავდივართ სავარჯიშოთ ჩეხვაზე, ბარიერებზე და ცხენოსნობაზედაც; თავისუფალი დრო უბრალოდ არ დაგვიკარგავს: ვეწყობოდით ახალწვეულების შესახვედრად, საუცხოვოდ გვაქვს მოწყობილი ყაზარმები, საჯინიბოები, ლენკუთხეები. სისტემატიური მეცადინეობა არ მიმდინარეობდა, ვინაიდან ბევრი სამუშაო იყო.

**პარტ-საქმე**

ხშირად ხდებოდა ბანაკიდან დაბრუნების შემდეგ კრებები, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში, რომლებზედაც სხვას გარდა, ირჩეოდა საკითხი ოპოზიციის გამოსვლების შესახებ.

**სამნეო მდგომარეობა**

სამნეო მდგომარეობა მაინც და მაინც ვერ არის დამაკმაყოფილებელი. არ ვიცი რას მიეწერება,— სადილი კეთდება ერთი თავი, წინად კი კეთდებოდა ორი თავი და ყველა წითელ არმიელები კმაყოფილი იყვენ.

კარგი იქნება, რომ თავის დროზე მიაწვდიდეს სამნეო ნაწილის უფროსი შორეულ ესკადრონებს პურს და დილას წ. ლ. ზურგით არ უხდებოდეს პურის ზიდვა.

**მომჭირნეობის საკითხი**

ყველა წითელ არმიელები საუცხოვოდ უვლიან სახაზინო ქონებას, როგორც ტანისამოსს, ისე ცხენებსაც; სამნეო ნაწილის უფროსი დიდი ყურადღებით უყურებს მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას; წითელ არმიელებიც შეგნებულად უყურებენ ამ საკითხს და უკვე იციან, თუ ვის სასარგებლოდ მიდის ეს.

**საკლუბო მუშაობა**

უნდა ითქვას, რომ კლუბი საუცხოვოდ აწარმოებს ახალწვეულებთან შეხვედრას. მშვენივრად არის მორთული პლაკატებით და საინტერესო ლოზუნგებით, იძენს აგრეთვე კინო სურათებს, ამზადებს პიესებს, ეხმარება აგრეთვე ყველა ესკადრონებს პლაკატებით, საწერი ქაღალდებით და ყოველმხრივ, მაგრამ მთავარი ნაკლი ეს არის, რომ კლუბმა კიდევ ვერ მოაწყო დარჩენილ წითელ არმიელებში სხვა და სხვა სამუშაო წრეების დაარსება, როგორიც არის სამხკორთა, პოლიტწრე, ლიტერატურული, დრამატიული, (რომ არსებობდეს დრამატიული წრე, მასში უნდა მონაწილეობას ღებულობდენ წითელ არმიელები) და სხვა მრავალი წრეები. საინტერესო და კარგი იქნება, რომ ამ ნაკლს მოეღებოდეს ბოლო ამ მოკლე ხანებში, როგორც იყო წინად, ისე იმ ნიადაგზე დადგებოდეს კვლავ კლუბი და დაარსებდეს აგრეთვე ყველა ესკადრონებში სხვა და სხვა წრეებს.

ქურხული.

## ყაზარმა ლამაზად ეწყობა

მე-3 ლეგ. მე-5 ასეული.

აღნიშნული ნაწილი ენერგიულად მუშაობს ყაზარმის, ლენკუთხის და სხვათა მოსაწყობად. განსაკუთრებით განირჩევიან თავისი მონდომებით ახლად მოსული მეთაურები ასეულში. არავითარ ღონისძიებას არ იშურებენ ეს ამხანაგები ყაზარმის და კუთხეების მოწყობისათვის.

კარგია სხვა ამხანაგებიც წაბაძავდენ მათ. მაშინ უფრო მომზადებული და მოწყობილი დავხვდებით ახალწვეულებს, რომლებთანაც გაძლიერებული მუშაობის წარმოება არის საჭირო.

ქ. კალაძე.

## ოქტომბერს მომზადებული ვხვდებით.

ცხენ. ლეგიონი.

ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლის თავს ჩვენი ლეგიონი ყოველმხრით მომზადებული ხვდება. კარგა ხანია რაც საამისო მზადება დაიწყო ლეგიონში. დამზადებული იქნა პლაკატები და ლოზუნგები ყაზარმების მოსართავად. იქნა ამორჩეული მომწყობი კომისია, რომელმაც შეიმუშავა დღესასწაულის ჩასატარებლად სათანადო გეგმა, რომლის სისრულეში მოყვანა თანდათან სწარმოებდა. ყველა ესკადრონებში მოწყობილი იქნა ლენინის კუთხეები. პოლიტხელები სპეციალურ ხასიათის საუბრებს ატარებდენ დღესასწაულის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ. მოხსენებები და კრებები ხშირად ტარდებოდა დღესასწაულის შესახებ.

კლუბი მოწყობილია სპეციალურად. ის სისტემატიურად აწვდიდა ესკადრონებს საწერკალამსა და რვეულებს.

ამნაირად დიდი რევოლიუციის 9 წლის თავს, ჩვენი ნაწილი სრულიად მომზადებული ხვდება. დღეს ერთხელ კიდევ დასდებს ლეგიონი ფიცს, რომ ის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას და დიდი ოქტომბრის მონაპოვართ თუ ამისთვის მოგვიწოდებენ ოდესმე.

ქ—ლი.

## ჩვენი წითელ არმიელები თავისუფალ წუთებში

მე-3 ლეგიონი.

თავისუფალ საათებს ლეგიონის წითელ არმიელები ტყვილა არ ჰკარგავენ. ხშირად ეწყობა ჯგუფური საუბრები სხვა და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ ან თუ არა და გასამართლებები სხვა და სხვა მოთხრობების გმირების. საერთოდ წითელ არმიელები დაინტერესებული არიან ლიტერატურული გასამართლებებით.

ერთი ასეთი გასამართლება მოეწყო 30 ოქტომბერს. გასამართლებული იქნა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის გმირი სიმონა. კამათში მასიურად მიიღეს მონაწილეობა წითელ არმიელებმა. გასამართლებას დაესწრო აგრეთვე ლეგიონის ქალთა წრე მთელი შემადგენლობით. დამახასიათებელია ის, რომ დამწრე წითელ არმიელებიდან არავინ არ გამოსულა, რომ გაემტყუნებიოს სიმონა. ყველა თავგამოდებით იცავდენ მას.

დასასრულ ერთხმად იქნა გამოტანილი განაჩენი: ყველა წარმოყენებულ ბრალდებებში სიმონა გამართლებული იქნეს და ბრალი დაედვას იმ წესწყობილებას, რომელიც ხელს უწყობდა სიმონასავით ვაუბედურებულ ახალგაზრდობას.

ალიოშა.

## მოაწყვეთ სამხედრო კუთხე

მე-4 ლეგ. მე-9 ასეული.

ასეულის შემადგენლობამ სხვა წრეებთან ერთად მოაწყო სამხედრო კუთხეებიც. ჯერ-ჯერობით რამოდენიმე კუთხე გვაქვს მოწყობილი როგორც ყაზარმაში, ისე მახლობელ სოფლებში. კუთხეები მოწყობილია ლოზუნგებით, პლაკატებით და სათანადო სამხედრო იარაღებით. სხვა და სხვა სისტემის თოფები დაშლილია თავის შემადგენელ ნაწილებად და თვითეულ მათგანს იქვე აწერია თუ რა დანიშნულებას ემსახურება ის. კუთხეებში ხშირად ვატარებთ საუბრებს გასამხედროებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. კუთხეების წევრთა რიცხვი თანდათან მრავლდება. განსაკუთრებით დაინტერესებული არიან კუთხის მუშაობით ახალგაზრდობა. სულ ახლო მომავალში საგრძნობლად გაიზარდა წევრთა რიცხვი, და თვით სამხედრო კუთხეების რიცხვიც.

ა. იმერლიშვილი.

## პასუხი შეკითხვებზე

— კოსტოიანცს. თქვენი ცოლის მომშობიარობის გამო ერთდროული დახმარება 25 მანეთის რაოდენობით, როგორც დამზღვევი სალარო იძლევა, ასეთი დახმარება სამხედრო უწყებიდან წ. ა. არ ეძლევათ. ბავშვისათვის რძის ფულის შესახებ და სხვა დახმარებისათვის უნდა მიმართოთ თხოვნით უზრუნველყოფის კომისარიატს სათანადო მოწმობების წარდგენით.

— ეფრემიძეს. მოხალისეს ორი წლის სამსახური ჯარში ეთვლება ნამდვილ სამსახურად. საქმის მწარმოებელზე გამოცდების ჩაბარება შეგიძლიათ. გამოცდები თუ როდის იქნება ამის შესახებ თქვენს უფროსს შეეკითხეთ.

— ავალიანს. მიმართეთ სამხედრო პროკურორს.

— თუთბერიძეს. ავადმყოფობის გამო შვებულებაში ყოფნის დროის ფული გეკუთვნით.

— რაქველს. თმა მოკლედ უნდა გქონდეთ შეკრეჭილი.

— ვ. მ—ძეს. მაზარა ტარების ვადის გასვლის შემდეგ თქვენს საკუთრებას შეადგენს.

— ქოქოევს. ჯარში გაწვევის შემდეგ ოჯახში მომხდარი ცვლილება არ განთავისუფლებთ ჯარიდან.

— ცხომელიძეს. თქვენი ჯარში ყოფნის განმავლობაში ყოველგვარი ხელშეკრულება თქვენთან დადებული ძალაში რჩება. ამიტომ თქენ მიერ იჯარით აღებულ მიწის სხვაზე გადაცემა პატრონს არ შეეძლო, თუ კი ასრულებდით თქვენ კანონიერად ხელშეკრულებას.

— კახიძეს. სამოქალაქო ტანსაცმლის ტარება შეუძლია სამსახურის გარეშე მხოლოდ საშუალო მეთაურიდან დაწყებული ზევით.

— მასვე. გეკუთვნით თუ იქნა, თუ არა მოგეცემათ საზაფხულო და თბილი საცვლები.

— სიხარულიძეს. თუ იქნა ნაწილში მოგეცემათ.

— თურმანოვს. თქვენ რომ იწერებით ის თუ მართალია, მაშინ თქვენ გეკუთვნით პირველი ხარისხის შეღავათები. თქვენი ნაწილის საშვალებით მიმართეთ მთავარ მიმღებ კომისიას.

— ვ. გიორგაძეს. შეღავათებით სარგებლობთ 1 წლის განმავლობაში.

— ალავიძეს. მოგვწერეთ რა თანამდებობაზე ხართ, რის შემდეგ შეგვეძლება პასუხი გაგცეთ თქვენს შეკითხვაზე.

— გოგიაშვილს. გამსახლში გატარებული დრო არ გეთვლებათ სამსახურში.

— თურმანიშვილს. თქვენი ცოლი შრომის უნარიანად ითვლება; დახმარების შესახებ მიმართეთ გლეხკომს.

— ქეიშვილს. არ გეკუთვნით.

— ვასაძეს. ორი წელი.

— არდაძეს. ერთი სამკუთხედი.

— შავლაშვილს. ჯამაგირის სამი მეოთხედი.

— ჟილიაშვილს. სამხ. უწყებიდან არ მოგეცემათ მამის დასამარხი ფული.

— შველიაშვილს. სარგებლობთ უფასო საექიმო დახმარებით.

— გამვლელს. მიმართეთ შრომის სასამართლოს.

— მსურველს. მიმართეთ აღმასკომთან არსებულ უძრავ ქონებათა სამმართველოს.

— მოლაშქრეს. სარგებლობთ მე-3 ხარისხის შეღავათებით.

— კაკალიშვილს. არა.

— გოცირიძეს. რამდენი წლის არიან თქვენი ოჯახის წევრები, უამისოთ პასუხს ვერ მოგცემთ.

— კოოპერატორს. ადგილი არ გენახებათ, თუ იქნა თავისუფალი მოგეცემად.

— კვინიაშვილს. თქვენი ოჯახი თავისუფალია.

— გაგავას. მომატების შესახებ ჯერ-ჯერობით რედაქციამ არაფერი იცის.

— ქუთაისელს. აქაური ბინის ტარიფი ქუთაისზე არ ვრცელდება.

— ხმაურაძეს. ერთი წლის შემდეგ.

— სოფრომს. გამოცდების ჩაბარებისთანავე მაშინვე უნდა გაგანთავისუფლონ.

— ტერიანოვს. მოსკოვში არა.

— ხ—ბიძეს. თქვენ რომ ბრძანება გაინტერესებთ იმის №—რი არის 925.

**დაკარგე** სამხედრო კოოპერატივ „მეომრიდან“ გაცემული საწევრო წიგნაკი № 2732 ისიდორე ანდრიასძე სილაგაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაკარგე** სამხედრო კოოპერატივიდად გაცემული საწევრო წიგნაკი № 2656 („ბოეცი„) იონა დევიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

# უცხოეთის არმიებში

## ფრანგები ტეხნიკის შესახებ

### მოულოდნელობის მნიშვნელობა

საფრანგეთის სამხედრო ტეხნიკისა და ჯგუფური ტაქტიკის ხმარების გამოცდილებამ მაროკოსთან ომში, გაცხარებული კამათი გამოიწვია ფრანგულ ჟურნალებში.

ერთი ფრანგი (გენერალურ შტაბიდან) ოფიცერი მიუთითებს, რომ ბრძოლის წარმატების საქმეში დიდ როლს თამაშობს მოულოდნელობა. ამისათვის აუცილებელია, რათა გამოსავალი პოზიციები ქვეითისა და არტილერიის ეჭიროს მათ უკანასკნელ საათებში შეტევის დაწყებამდე. აუცილებლად აკრძალულ უნდა იქნას ღამით სასანგრო მუშაობა და დაწყებულ იქნას შეტევა რიჟრაჟზე. არტილერიის ცეცხლი განსაკუთრებით კარგად უნდა იყოს შეთანხმებული ქვეითი ჯარის მოქმედებასთან.

მასთან ქვეითა ჯარს უნდა ჰქონდეს საკუთარი ქვემეხები.

**არ ვარგა სროლა თავისი ნაწილების ზურგიდან**

არჩევს რა ტყვიამფრქვევის ცეცხლს, ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტყვიამფრქვევი წარმოადგენს ბრძოლის იარაღს ახლო და საშუალო დისტანციებზე. ამიტომ ის აფრთხილებს, რომ ტყვიამფრქვევიდან არ უნდა ვისროლოთ თავის ჯარების ზურგიდან, შეტევაზე გადმოსულ ნაწილების შუალედებში და შორ დისტანციებზე. რაც შეეხება ქვეითი ჯარის წყობას ცეცხლის ქვეშ შეტევის დროს, ავტორი ურჩევს, რომ აქ რაც შეიძლება მეტი მანძილი უნდა გაიარონ კლაკლინად, კუთხედად ან შარში გაშლით, გრანატის გატყორცნის მანძილამდი მტრის წინაალმდეგობის ბუდიდან.

დასასრულ ავტორი აღნიშნავს, რომ შემცდარია ის აზრი ვინც აყენებს ასეთ მოთხოვნილებას: „ცოტა ქვეითი ნაწილები და მეტი ტეხნიკა“. ის მოითხოვს, რათა ქვეითა ნაწილს, როგორც ჯარის მთავარ გვარს, მეტი ყურადღება მიექცეს.

**ათეულის წინააღმდეგ**

მეორე ავტორი კაპიტან ლაფარგი, თავის წერილში შეცდომად სთვლის ჯგუფური ტაქტიკის მთელ სისტემას. ის ამბობს, რომ ჯგუფური ორგანიზაცია სრულიად სავარგისია ბრძოლის ველისკენ, მაგრამ თვით ბრძოლაში, ყველა გვარი იარაღის მომქმედ ცეცხლ ქვეშ, მცირე ნაწილები ირევიან, და აქ ლაპარაკიც არ შეიძლება ათეულსა და ოცეულზედაც კი.

ლაფარგის აზრით, ბრძოლაში შეიქნება ცალკე საბძოლო უბნები სხვა და სხვა ძალისა იმისდა მიხედვით, თუ რა რაოდენობის ძალის მოთავსება შეიძლება ამა თუ იმ უბანზე.

ბრძოლის ველზე მეთაურის დანახვა და გაგონება შეიძლება მხოლოდ განსაზღვრულ, ახლო მანძილზე, და მეთაურად რომ გამოდგეს, ისეთი მეომრები ხომ ცოტაა.

**ბრძოლის ფუძე—ცალკე მეომარია**

ამიტომ ლაფარგის აზრით ქვეითის ბრძოლაში მომქმედ ერთეულს წარმოადგენს არა ჯგუფი (ათეული), არამედ ცალკე მეომარი. თვითეული ცალკე მეომარი შეიარაღებულ უნდა იქნას ყველა გვარის იარაღით, რომელიც კი საჭიროა ახლო მანძილზე ბრძოლისთვის სანგარში მყოფ მტერთან. შაშხანასთან ერთად მას უნდა ჰქონდეს აგრეთვე ხელის გრანატმტყორცნი. ამასთან ლაფარგი ამბობს, რომ თანამედროვე ტეხნიკის პირობებში შეიძლება ისეთი გრანატმტყორცნის გაკეთება, რომელიც არ დაამძიმებს მეომარს.

საფრანგეთის ამ ორი სამხედრო სპეცის აზრი საყურადღებოა. საფრანგეთმა პირველმა დააყენა საკითხი ჯგუფური ტაქტიკისა და მცირე ერთეულების ტეხნიკის გაძლიერების შესახებ. დღეს საფრანგეთის სამხედრო აზრი მუშაობს უფრო ძლიერ და სცდილობს გადაიტანოს სიმძიმის ცენტრი ცალკე მებრძოლზე. იმავე დროს ზედმეტი დატვირთულობა ტეხნიკით აიძულებს ზოგიერთ სპეციალისტებს ამ აზრის წინააღმდეგ წავიდეს.

მომავალი გვიჩვენებს, თუ რომელი აზრი იქნება უფრო სწორი. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ყურადღების გაძლიერება ცალკე მეომრის როლისადმი დროულია და სწორი.

ნ. ლ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქუცხოველის 1. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.